

ისტორია

საბანკო-საფინანსო საქმის დაარსების ისტორიიდან თბილისსა და ქუთაისში XIX საუკუნეში

თეა გაგუა

gaguatea@gmail.com

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისის უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

სტატიაში წარმოდგენილია XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში (თბილისსა და ქუთაისში) საბანკო - საფინანსო საქმის გამართვის და დაფუძნების განვლილი ეტაპების ერთგვარი ისტორიები, რომელსაც თან ახლდა წინააღმდეგობები, სირთულეები, იდეური, კლასობრივი შეუთანხმებლობა თანამოაზრეთა შორის, დაინტერესების საგანი სტატიაზე მუშაობის პროცესშიც სწორედ ის არის, რომ რუსულ მარწუხებში მოქცეულმა ქართული საზოგადოების ნაწილმა მთავარ ღირებულებად ერის თვითმოქმედების მატერიალური გზა აირჩია და დაინახა საზოგადოებაზე მორგებული ეკონომიკური კეთილდღეობის მთავარი ასპექტები. სტატია ნათლად წარმოაჩენს პერსონალიებს და მათ როლს საბანკო საქმის გამართვის საქმეში, გამოკვეთავს, თუ როგორ ცდილობდა ფეოდალური არისტოკრატია საადგილმამულო ბანკის იდეის დასამარებას, თერგდალეულები კი მხურვალედ იცავდნენ. სტატიაში ნათლად იკვეთება, რომ პროგრესულად მოაზროვნე ქართული საზოგადოების ნაწილი ბანკის დაარსების მთავარ აზრს შემდეგნაირად ხედავდა, რომ იგი არ უნდა ყოფილიყო პრივილეგირებული კლასის ინტერესების გამდიდრების წყარო, არამედ დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებული საერთო-საზოგადოებრივი განვითარების ხელშეწყობი დაწესებულება.

საკვანძო სიტყვები: საადგილმამულო ბანკი, ბატონყმობა, კლასები, ფინანსები, მოგება.

XIX საუკუნე საქართველოს ისტორიაში მეტად რთული და წინააღმდეგობრივი იყო ეროვნული ინტერესების დაცვის და სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების თვალსაზრისით, ჩვენი წინაპრები შეზღუდული შესაძლებლობის პირობებშიც კი ახერხებდნენ საქმიანობას სხვადასხვა სფეროში, საილუსტრაციოდ და განსახილველად სტატიაში წარმოდგენილია ეკონომიკის სფერო, საბანკო-საფინანსო საქმის წარმოება და ჩამოყალიბების ისტორია საქართველოში.

თანამედროვე საბანკო-საფინანსო სისტემის საფუძვლების შექმნა ილია ჭავჭავაძის ეპოქას და მის სახელს უკავშირდება XIX საუკუნის მეორე ნახევარი ის გამონაკლისი პერიოდი იყო, როცა დამოუკიდებლობა დაკარგულ საქართველოში საკუთარი ფულის არარსებობის პირობებშიც კი, პირველი ქართული ბანკი მრავალი წლის განმავლობაში ეროვნულ ფუნქციას ინარჩუნებდა და ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობის ეკონომიკურ საფუძვლებს ქმნიდა, ბანკს ამ დროისთვის ქართველთა ფიზიკური და ზნეობრივი სიმყარის მისია ეკისრებოდა, ის იყო ერის თვითმოქმედების მატერიალური სარბიელი საქართველოში (მიხანაშვილი 2014).

„...დღეს „შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა“, ჩვენთვის მარტო ბანკია ის მოედანი, რომელზეც უნდა აღიზარდოს, ფეხი აიდგას, გაიწურთნოს, გაინავარდოს ჩვენმა თვითმოქმედებამ, ჩვენმა ზნეობრივმა ძალ-ღონემ, ვისაც ჩვენი ქვეყანა გულწრფელად უყვარს და ჩვენთვის კეთილი არ შურს, ის დიდი სიფრთხილით, დიდი მოსაზრებით უნდა ეკიდებოდეს ყოველ საგანს, ყოველს აზრს ბანკის შესახებ“ (ჭავჭავაძე 1956: 49-50),- ასეთია ილია ჭავჭავაძის ცნობილი პოსტულატი ბანკის მისიაზე და საბანკო საქმის მნიშვნელობაზე ქართველთა თვითმოყოფადობის შემეცნებაში.

საადგილმამულო ბანკის დაარსება დიმიტრი ყიფიანს მოუვიდა თურმე აზრად, შალვა ჩხეტია დიმიტრი ყიფიანის შესახებ ამბობდა: უცნაური კაცია დიმიტრი, იგი ახერხებდა თავის თავში შეეთავსებინა ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის მტერი და ტახტის ერთგული მოხელე, გლეხობის მოსარჩელე და ბატონყმობის მომხრე, სამშობლოს ღირსებისათვის მებრძოლი და რუსული მონარქიზმის მოიმიდე, ქართველი პატრიოტი და რუსი თვითმპყრობელი მეფის თავყანისმცემელი (ბაქრაძე 2006: 54). მას მუდამ ნაირ-ნაირი იდეები უტრიალებდა თავში, აკაკი წერეთლის სიტყვით: „არც ერთი ქართული დაწესებულება არ არის ჩვენში რომ მეთაურობა დიმიტრი ყიფიანს არ ეკუთვნოდეს: ბანკი, ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, თეატრი და სხვანი, სულ მისი ინიციატორობით არის დაწყებული“ (ბაქრაძე 2006: 55).

ბატონყმობა რომ გაუქმდა, დიმიტრი ყიფიანი ქართული თავადაზნაურობის კეთილდღეობის გადარჩენის გზებს ეძებდა. იგი ხატოვნად წერდა: დიდხანს ცხოვრობდაო სასახლეში პატიოსანი კაცის ოჯახი. მართალია, ღარიბად, მაგრამ - მშვიდად. სჯეროდა, უკეთესი დროც დადგებაო. უცვათ, ერთ უბედურ დღეს ხუროთმოძღვარმა გამოაცხადა - ეს სასახლე

თ. გაგუა

ინგრევა, ახლავე თავს უშველეთ, თორემ ნანგრევებში გაიჰყლიტებითო. მეტი რა გზა იყო, იმ სასახლიდან გარეთ გამოცვივდნენ. მართლაც მალე იჭექა, იქუხა, კედლებს ბზარი გაუჩნდა და სულ ცოტა ხანში დაირღვა კიდეც. ღმერთის ანაბარად დარჩენილნი უკანასკნელ იმედს ებლაუჭებოდნენ, უფალი და ხელმწიფე-იმპერატორი არ გაგვწირავსო.

დანგრეული სასახლე ბატონყმობა იყო. უსახლკაროდ დარჩენილი პატროსანი კაცის ოჯახი - ქართველი თავადაზნაურობა, იმედი და მშველელი - იმპერატორი ალექსანდრე მეორე. თუ იგი მოწყალებას არ დაიშურებდა, თავად -აზნაურობა ქვეყნის სამსახარო არ გახდებოდა. არც დაიშურა: მამრობითი სქესის თითოეული გათავისუფლებული გლეხის ფასად ბატონს 25 მანეთი ეძლეოდა. ვისაც 21 ყმაზე ნაკლები ჰყავდა, ეს გასამრჯელო უორმაგდებოდა. ამ გზით თავადაზნაურობას საკმაო თანხა უგროვდებოდა, ვინც ჰკუთით მოიქცეოდა, ქონებრივი გასაჭირი არ ელოდა.

ცნობისთვის: აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურობამ მთავრობის მიერ გლეხთა გათავისუფლებისთვის საბოლოოდ 1840000 მანეთი, ბანკის დაარსებისთვის კი 160000 მანეთი მიიღო.

ამ პირობებში დიმიტრი ყიფიანს თავადაზნაურობის წოდებრივი და ქონებრივი უპირატესობის შენარჩუნების ერთადერთ ბურჯად საადგილმამულო ბანკი მიაჩნდა. ბანკის საქმე რომ აწყობილიყო, სახელმწიფოს მოძიებულ თანხას ცოტა კიდეც უნდა დამატებოდა. კერძოდ თავადაზნაურობას თითოეულ სულ გლეხზე მიღებული ოცდახუთი მანეთიდან ხუთი მანეთი უნდა შეეწირა. მაშინ ბანკს თავნად, ძირის ფულად თანხა უგროვდებოდა. მერე უკვე ხელმძღვანელობის ოსტატურ საქმიანობაზე იყო დამოკიდებული რას მოიგებდა ან რას წააგებდა ბანკი.

თავდაპირველად დიმიტრი ყიფიანს ასეთი ბანკის შექმნა უნდოდაო - წერს იოველ ასათიანი: - „რომლიდანაც თავადაზნაურობა სესხს გამოიტანდა დაბალი სარგებლით, ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში კი დამგირავებელს მამულს არავითარ შემთხვევაში არ გაუყიდდა, იგი დროებით უნდა გადასულიყო ბანკის გამგებლობაში და ვალის დაფარვის შემდეგ მის პატრონს დაუბრუნდებოდა“ (ასათიანი 1979: 51,52). როცა დ. ყიფიანის პროექტს გაეცნო ალექსანდრე ზუბალაშვილი, კომერციაში გაწაფული კაცი, მაშინვე მიხვდა თურმე კეთილშობილი მეოცნების შეცდომას. ოდნავ შესამჩნევი ირონიით აცნობებდა ალექსანდრე ზუბალაშვილი დიმიტრი ყიფიანს: „მამულის გაუსყიდამის იდეა დიდ ჰუმანიზმად მიმაჩნია, მაგრამ განუხორციელებელიაო, თუ ბანკი არც ვალს გადაახდევინებს და არც მამულს გაუყიდის დამგირავებლებს, მაშინვე გაკოტრდებაო.

პროექტის ავტორს განუმარტავდა, გამდიდრების ანუ კომერციული წესი ყველა ბანკისთვის ერთი და იგივეაო. კომერციულ ბანკსა და საზოგადოებრივ ბანკს შორის განსხვავება მხოლოდ მოგების განაწილებაშია, ე. ი მიზანში და არა საშუალებაშიო დიმიტრი ყიფიანის ოპტიმიზმი და ენთუზიაზმი უსაზღვრო იყო. მან საგანგებოდ შეისწავლა იმპერიის სხვა კერძო ბანკების წესდებათა საფუძვლები, თუ გავითვალისწინებთ იმ მოცემულობას, რომ 1862 წლიდან 1872 წლამდე პერიოდი რუსეთში საბანკო საქმიანობის განუწყვეტელი ისტორიული განვითარების დროდ ითვლება და ამ პერიოდში დაიბადა 33 სააქციო ბანკი, 11 სააქციო მიწის ბანკი, 1873 წლიდან ფუნქციონირებდა 222 საქალაქო საჯარო ბანკი, არსებული გამოცდილება ყიფიანს ნამდვილად აძლევდა ოპტიმიზმის საფუძველს (Исмаилова 2015: 50).

ბანკის წესდების ხუთი პროექტი შეადგინა დიმიტრი ყიფიანმა. წლების მანძილზე იწვალა და იდავიდარაბა, მაგრამ როცა 1870 წლის მაისში იგი თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის პოსტიდან გადადგა, ბანკი დაარსებული მაინც არ იყო. იმთავითვე არ უნდოდა ზოგიერთს დიმიტრი ყიფიანის მარშლად არჩევა. იგი აზნაური იყო და მუხრან-ბატონებს, ორბელიანებს, ზოგიერთ სხვასაც ერცხვინებოდათ მისი წინამძღოლად დასმა. ანტონ ფურცელაძე გვიამბობს, რა ამბავი დატრიალებულა იმ კრებაზე, რომელმაც დიმიტრი ყიფიანი თავადაზნაურობის წინამძღოლად აირჩია.

პირველი ყიფიანის წინააღმდეგ გრიგოლ ორბელიანი გამოსულა. ჯერ უთქვამს, სირცხვილიაო უბრალო აზნაურის წინამძღოლად არჩევა. როცა ამ არგუმენტს არ გაუჭრია, დაუმატებია, დიმიტრი ყიფიანი, როგორც არასაიმედო კაცი, დათხოვნილიაო სამსახურიდან. ეს განცხადება საზოგადოებას არ მოსწონებია და პროტესტის ნიშნად ყვირილი აუტეხია. როგორ თუ პროტესტს აცხადებთო, გადარეულა ივანე მუხრან-ბატონი, სკამიდან წამოვარდნილა და ხაფი ხმით დაუყვირია: რას ბედავთ, რა არის ეს? ჯანყი? ვის უბედავთ ამხედრებას? Бунтовщик-ი გინდათ აირჩიოთ თავადაზნაურობის წინამძღოლად? ახლავე მოუხმეთ პროკურორს!

ჯანყის Бунтовщик-ის, პროკურორის ხსენებას საშინლად დაუფრთხია შეკრებილი საზოგადოება, შიშით ყველას ხმა გაუკმედია. ის-ის იყო დიმიტრი ყიფიანის არჩევის საქმე უნდა ჩაშლილიყო, რომ ფეხზე წამომხტარა ახალგაზრდა ოფიცერი ალექსანდრე არღუთაშვილი და შეუტეცია: ვინ უწოდებს თავადაზნაურთა კრებას ჯანყს? ვინ უხმობს ჩვენს კრებაზე პროკურორს? ვინ გვნათლავს Бунтовщик-ებად იმიტომ, რომ დიდ უმრავლეს-

თ. გაგუა

სობას არ სურს გაიზიაროს ერთი მუჭა უმცირესობის აზრი? Бунтовшикები უმცირესობაა, რომელნიც არ ეთანხმებიან უმრავლესობას. ვისაც არ სურს არჩევნებში მონაწილეობა, შეუძლია კრება დატოვოს ამგვარ შემოტევას ივანე მუხრან-ბატონი არ მოელოდა, გაოგნებულს ენა ჩავარდნია მუცელში. კრება კი გათამამებულა და დარბაზში ისმოდა შემახილები: გარეთ გააგდეთ მუხრან-ბატონი! გარეთ გააგდეთ! მაშინ დაბოლმოდ გრიგოლ ორბელიანს უთქვამს „საქართველო მაშინ დაიღუპა, როცა მე და წვიმატიმე ერთმანეთს შეგვასწორესო!..“ (ბაქრაძე 2006: 57, 59).

დიმიტრი ყიფიანის თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლად აირჩიეს. საზოგადოება არ მოტყუებულა. სასახელოდ იმარშლა ყიფიანმა, მაგრამ 1870 წელს, როცა ხელახალი არჩევნები უნდა მომხდარიყო, მდგომარეობა შეიცვალა. იმ ხანებში საქართველოში სტუმრად ელოდნენ იმპერატორ ალექსანდრე მეორეს. ისევ აწუწუნებულან დიმიტრი ყიფიანის მტრები: სტუმრად ხელმწიფე მობრძანდება და იქნებ რაიმე მოწყალებაც გაიღოს, თავის მოჭრა იქნებაო უბრალო აზნაური დავახვედროთ თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლად. ასეთი მითქმამოთქმა დიმიტრი ყიფიანს ესმოდა, მან უარი თქვა მარშლობაზე. მართალია, ბევრი ემუდარებოდა, დარჩენილიყო წინამძღოლად, მაგრამ გადაწყვეტილება აღარ შეცვალა. თავს იმართლებდა: ყველა დარწმუნებულია, სტუმრად ჩამოსული იმპერატორი რასმეს გვიბოძებსო. ეს იმედი რომ არ გამართლდეს, მე დამაბრალებენ და საზოგადოების წინაშე დამნაშავე გამოვალ.

თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლად გენერალ-ადიუტანტი რევაზ ივანეს ძე ანდრონიკაშვილი აირჩიეს. 1871 წელს იმპერატორი საქართველოში ჩამოვრძანდა. მის უდიდებულესობას არავითარი მოწყალება არ გაუღია. ქართველი არისტოკრატია გაწბილებული დარჩა, ვერც რევაზ ანდრონიკაშვილის მარშლობამ უშველა და ვერც პურ-მარილმა.

ახალი წინამძღოლის ხელშიც ბანკის დაარსების საქმე ჭიანურდებოდა. მაშინ თერგდალეულებმა გადაწყვიტეს ეს საქმე ილია ჭავჭავაძისათვის მიენდოთ (ჭავჭავაძე 1956: 309-310).

1872 წლის 25 ნოემბერს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საგანგებო კრება ჩატარდა. ამ კრებაზე ილიას სიტყვა წარმოუთქვამს. მას საზოგადოების დიდი მოწონება დაუმსახურებია. ილიას ისე მწარედ გაუკრიტიკებია ძველი კომისიის მუშაობა, რომ ანტონ ფურცელაძის გადმოცემით, მისი წევრები ერთმანეთის მიყოლებით კრებიდან გაპარულან. უპრიანი

იქნება თუ ვიტყვით, რომ ილიას თავკაცობით ძირეულად შემუშავდა საადგილმამულო ბანკის ახალი წესდება, მაგრამ, თუ ეს საქმე შედარებით იოლი გასაკეთებელი აღმოჩნდა, ძალიან გართულდა და დიდი ოფლის ღვრა მოითხოვა პროექტის დამტკიცებამ. 1872 წლის 5 დეკემბრიდან 1874 წლის 28 მაისამდე დრო მოსკოვსა და პეტერბურგში მოსვლა-მოსვლას, იქ ტრიალს და ბიუროკრატიულ კიბეზე აღმა-დაღმა სიარულს დასჭირდა. ზოგჯერ სასოწარკვეთილი ილია საქმის მოტოვებას და შინ გამოქცევას ფიქრობდა. აკი ვერ გაუძლეს წვალებას დიმიტრი ყაზბეგმა და დავით ყიფიანმა. ისინი, როგორც ბანკის დირექტორები რუსეთში ახლდნენ ილიას წესდების დასამტკიცებლად. „ყიფიანი და ყაზბეგი ხომ ჯერ, მკათათვეში ერთი, და მეორე აგვისტოში გაიქცნენ აქედამა და დამაგდეს მე მარტო“, - წერდა 1873 წლის 10 ოქტომბერს გულდაწყვეტილი ილია ცოლს. ზოგადად, ილიას იმჟამინდელ განწყობილებას ზუსტად გადმოგვცემს მისი ბარათები ოღლა გურამიშვილისადმი.

საადგილმამულო ბანკის წესდების დამტკიცება საკმაოდ შეფერხდა, მაგრამ ილია არაფრით არ მოეშვა საქმეს. მაინც თავისი გაიტანა და ბოლოს, როგორც იქნა 1874 წლის 28 მაისს თბილისის საადგილმამულო ბანკის წესდება დამტკიცდა. სექტემბერში თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საერთო კრებას ეცნობა წესდების დამტკიცება. გააცნეს ბანკის მმართველობისა და მუშაობის სისტემა. აირჩიეს ბანკის მმართველი და დირექტორები. ამ კრებამ მმართველად ილია აირჩია. კენჭისყრის შედეგად ილიას მომხრე იყო -138 კაცი, წინააღმდეგი - 12. 1875 წლის იანვარ-თებერვალში კი თბილისის საადგილმამულო ბანკის დამფუძნებელი კრება ჩატარდა. ბანკმა არსებობა დაიწყო.

ქუთაისის საადგილმამულო ბანკის დაარსების ისტორია 1866 წლიდან იწყება, გაზეთი დროება მკითხველებს აუწყებდა, რომ ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობას ბანკის დაფუძნება განუზრახავს და ამ მიზნით კომისია აურჩევია ბანკის წესდების შესადგენად (შეიქმნა 24-კაციანი კომისია) სამწუხაროდ 6-წლიანი არსებობის მანძილზე კომისიამ ვერ შეძლო წესდების შექმნა. ბანკის დაფუძნება იმერეთისთვის ამ დროს მეტად სარგებლიანი საქმე იქნებოდა, როგორც ფულის სესხების თვალსაზრისით, ასევე ქვეყნის ეკონომიკური წინსვლისთვის. 1867 წელს ხელისუფლება დათანხმდა ბანკის გახსნას ქუთაისში, დაარსების პროცესში სამეგრელოს თავადაზნაურობამ საკითხი დააყენა საკუთარი საკრედიტო დაწესებულების დაარსების შესახებ (დროება, 1868 წელი, 20 დეკემბერი), ამ მხრივ გარკვეული მუშაობა გაიშალა კიდეც, მაგრამ

თ. გაგუა

შემდეგ სამეგრელოს თავადაზნაურობამ სძლია თავის ვიწრო კუთხურ განკერძოების ტენდენციას და გადაწყვიტა თავისი ხვედრი, საბანკო კაპიტალი დასავლეთ საქართველოს ერთიან საადგილმამულო ბანკში გაეერთიანებინა (ნიკოლეიშვილი 1993: 82).

1873 წელს ქუთაისის ბანკის პროექტი ნიკოლოზ ლოლობერიძემ შეადგინა რუსეთის სხვადასხვა ბანკის საფუძველზე, როგორც თავად აღნიშნავს, ის ამ საქმისთვის თავად სპეციალურად გაემგზავრა პეტერბურგს, რათა მცოდნე სპეციალისტებისგან სათანადო რჩევა მიეღო.

საადგილმამულო ბანკის გახსნამდე, მუშაობის პროცესში ნიკოლოზ ლოლობერიძესთან ერთად აქტიურად იყვნენ ჩართული აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, სერგეი მესხი თუმცა, როცა ბანკი უკვე გაიხსნა (1876 წელი) აღნიშნული საზოგადოება, მათ შორის ილია ჭავჭავაძეც ლოლობერიძის მოწინააღმდეგეთა რიგებში აღმოჩნდნენ, ისინი თვლიდნენ, რომ ბესარიონ ლოლობერიძე არ იყო ამ საქმისთვის შესაფერი კანდიდატი, მოგვიანებით ილია ლოლობერიძეს მიემხრო, ჩათვალა, რომ საქმის მცოდნე იყო და მისი პროფესია დაეხმარებოდა ბანკის მართვაში.

ამ დავიდარაბასა და შეუთანხმებლობაში ქუთაისის საადგილმამულო ბანკი 1876 წელს დაარსდა, თავმჯდომარედ პირველ წელს არჩეულ იქნა ბესარიონ ლოლობერიძე, წევრები: ნიკო ტარიელის ძე დადიანი, დავით გრიგოლის ძე ერისთავი. ერთი წლის შემდეგ ბესარიონ ლოლობერიძე მისმა შვილმა ნიკოლოზ ლოლობერიძემ შეცვალა. იგი ბანკს 5 წელი მართავდა (1879-1884) მეტად განათლებული და ღირსეული პიროვნება გახლდათ, 5 წლის შემდეგ თანამდებობა დატოვა და ხელი მიჰყო ჭიათურის მარგანეცის მრეწველობას, ბანკის თავმჯდომარეობა კი იტვირთა დიმიტრი ელიზბარის ძე დადიანმა (ნიკოლეიშვილი 1993: 85).

ქუთაისის საადგილმამულო ბანკმა 1921 წლამდე იარსება და თავისი არსით მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა რუსეთში არსებული ანალოგიური დაწესებულებებისგან ის ევროპული ტიპის პირველი მსხვილი საკრედიტო დაწესებულება იყო, შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, ქუთაისის ბანკი დასავლეთ საქართველოში ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის მატერიალურ დასაყრდენს და მის ორგანულ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცულია აღნიშნული ბანკის 8803 შესანახი ერთეული, რომლებიც სრულად ასახავენ აღნიშნული დაწესებულების საქმიანობას, ფონდში დაცული დოკუმენტები მრავალფეროვანია, დაცულია მასალები ბანკში

დაგირავებულ ქონებაზე, დამგირავებლებზე, მხოლოდ ქუთაისის შესახებ დაცულია 140 გეგმა პროექტი, ბათუმის-51, სოხუმის-45, ფითის-29, თბილისის-84 და დოკუმენტები, რომლებიც ბანკის სხვადასხვა დაწესებულებასთან ურთიერთობას ასახავს (საქართველოს ეროვნული არქივი 2015).

ბანკი წლების განმავლობაში აფინანსებდა სათავადაზნაურო გიმნაზიას, რამდენიმე სკოლას, ქართულ თეატრს, ქართული წიგნის გამოცემას, დაცულია ცნობები ბანკში დაგირავებულ ქონებაზე და დამგირავებლებზე, დიდია მისი როლი ქალაქის განვითარების და მატერიალური კეთილდღეობის საქმეში.

ლიტერატურა და წყაროები

- ასათიანი, იოველ. 1979. თბილისის ქართული საადგილმამულო ბანკის დაარსება. თბილისი: სახელმწიფო გამომცემლობა.
- ბაქრაძე, აკაკი. 2006. ილია ჭავჭავაძე, ილუსტრირებული ბიოგრაფიები, თბილისი: პეგასი.
- მიხანაშვილი, ნუკრი. 2014. ევროპული არჩევანის ეროვნული საფუძვლები - საქართველოს საბანკო სისტემის სათავეებთან. ატვირთულია 03/06/2014; მოძიებულია 15/07/2022, ელრესურსი <https://for.ge/view/32428/evropuli-arCevanis-erovnuli-safuZvlebi---saqarTvelos-sabanko-sistemis-saTaveebTan.html>
- ნიკოლეიშვილი, მიხეილ (რედ.). 1993. ქუთაისის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, კრებული VI. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ქუთაისი.
- საქართველოს ეროვნული არქივი. 2015. „ქუთაისის მიხეილის სათავადაზნაურო ფონდი“ ატვირთულია 12/01/2015, მოძიებულია 15/07/2022, ელრესურსი <https://archive.gov.ge/ge/news/qutaisis-mixeilis-satavadaznauro-saadgilmamulo-bankis-fondi>
- ჭავჭავაძე, ილია. 1956. თხზულებები. ტომი 5. თბილისი.
- Исмаилова. 2015. Вестник Челябинского государственного университета. 2015. № 24 (379). БАНКИ И БАНКОВСКИЕ УЧРЕЖДЕНИЯ ЗАКАВКАЗСКОГО КРАЯ (последняя треть XIX – начало XX века) <https://cyberleninka.ru/article/n/banki-i-bankovskie-uchrezhdeniya-zakavkazskogo-kрая-poslednyaya-tret-xix-nachalo-xx-veka/viewer>

History

From the History of the Establishment of Banking and Finance in Tbilisi and Kutaisi in the XIX century

Tea Gagua

gaguatea@gmail.com

Batumi Shota Rustaveli State University

Kutaisi University

Kutaisi, Georgia

The article presents a kind of history of the stages of banking and financial affairs in Georgia (Tbilisi and Kutaisi) in the second half of the XIX century, which was accompanied by contradictions, difficulties, ideological, class disagreements among like-minded people. The point of my interest in the process of working on the article is that a part of the Georgian society, which is in the grip of Russia, has chosen the material way of self – action of the nation as the main value and has seen the key aspects of community-based economic well-being. The article clearly presents the personalities and their role in the management of the banking business, reveals how the feudal aristocracy tried to bury the idea of the local bank, while the Tergdals fervently defended it. The article makes it clear that a part of the progressive-minded Georgian society saw the main idea of the bank's establishment as that it should not be a source of enrichment for the interests of the privileged class, but an institution promoting democratic society based on democratic principles.

Keywords: local bank; dictatorship; classes; finances; profit.

The 19th century was very difficult and full of contradictions in the history of Georgia due to the struggle to defense the national interests and maintain the state of the country.

Our ancestors managed to do business in different areas despite of limited opportunities. To illustrate this fact and make discussion in the article below I will present and analyze the economic field, bank financial business establishment and history of their development.

The establishment of the modern bank financial system is related to the epoch of Ilia Chavchavadze and to his name itself. The second half of the 19th century was an exceptional period, even though the country lost its independence and did not have its own national money, the first Georgian National Bank tried to

maintain the function of nationalism and made the fundament and backbone for political independence. At that time the bank was the cornerstone for Georgians' physical and moral strength. It was nation's material action place in Georgia.

The well-known postulate of Ilia Chavchavadze about the mission and the importance of the bank issue in the cognition of the Georgians is that: "today due to the different kinds of actions only the bank is the playground on which our self-action and moral strength should grow up, make the first steps, train and try to fly. He, who diligently loves our country and is not jealous of our kindness and prosperity, should be very careful and pay great attention to every affair, subject and opinion about the bank" (Ilia Chavchavadze).

The establishment of the bank was the idea of Dimitri Kipiani. The prominent statesman Shalva Chkhetia said about Dimitri Kipiani: "Dimitri is a strange man, he managed to combine in himself the enemy of Tsarist colonial politics and devoted employer to the throne, the defender of peasants and supporter of serfdom. He was the fighter for dignity of Georgia and had hope of Russian Monarch. The Georgian patriot and at that time, the admirer of Russian Tsar" (Baqradsze 2006: 54) Different ideas occurred to him. Once Akaki Tsereteli said: "There is no Georgian establishment that was not headed by Dimitri Kipiani. For instance: the bank, the organization for dissemination of literacy in Georgia, the theatre and so on. The primary initiatives for all these establishments belong to him.

When serfdom was abolished Dimitri Kipiani looked for ways to save the prosperity of Georgian nobility. He wrote beautifully and imaginatively. Once there lived an honest man's family in a wonderful palace. They were short off but they lived peacefully. They hoped for a better period, but suddenly one unfortunate day the builder warned them that the palace was about to be destroyed and advised them to run away or they would be buried under the stones and ruins. The family had no other option and left the palace. Truly, there was a terrible thunderstorm, the walls of the palace cracked and ruined in no time. The family only had hope and faith of the god and thought that the god and its highness Emperor would not doom them.

Destroyed palace represented serfdom, homeless and honest family represented Georgian nobles, hope and helper represented the emperor Alexandro the second. If he gave mercy and made a wish, nobles would not be the subject of laughter. The emperor Alexandre the 2nd gave mercy. He gave an order that nobles would get 25 Maneti for each liberated peasant. For those who had less

თ. გავრცელება

than 21 servants, this salary was doubled. In this way nobles were not short of money, they earned quite a lot amount of money. Those who acted wisely were not hard up.

For information: The nobles of east Georgia got 1,840,000 Maneti from the government for the liberation of peasants and for the establishment of the bank they got 160,000 Maneti.

In these conditions to maintain the nobles' faith and material advancement, Dimitri Kipiani considered the placement bank. To get progress of the bank issue, the money which the government had given was not enough, they needed capital rise. In detail, the nobles had to donate 5 Maneti from that 25 Maneti they were getting for liberation of each peasant. In this way the bank collected quite a good amount of investment and the profit and loss of the bank depended on the authorities' qualifications and work.

Iovel Asatiani wrote: At first Dimitri Kipiani wanted to create different kind of bank. In detail, "A bank from which the nobles would get loans with low interest. If they could not pay the debt, the land would not be sold, it would become the bank's property for a while and after paying the loan it would be returned to the nobles again. When Alexandre Zubalashvili read D. Kipiani's project about the bank, he noticed the mistake of the kind dreamer right away. With a slight irony Alexandre Zubalashvili informed Dimitri Kipiani that the idea of not selling the land after not paying the debt was very humane, but it could not be progressed. The bank would go bankrupt if they did not force the debtor to pay the debt and in addition if the bank did not sell their lands Alexandre Zubashvili explained to the author of the project: the rule of getting rich or commercial rule was the same for every bank. The difference between commercial and public banks is the way you divide profit, so the difference is in the goal not in the way you deal with the clients.

The optimism and enthusiasm of Dimitri Kipiani was great. He diligently learned the regulations of other private banks in the empire. To consider the fact that from 1862 to 1872 in Russia, there was uninterrupted development of the bank business and at that period 33 joint banks; 11 joint land banks were established and from 1873, 222 urban public banks were functioning, these examples and information gave Dimitri Kipiani a hope and a reason to be an optimist.

Dimitri Kipiani prepared five projects for the bank regulations. For many years he struggled but anyway, in May of 1870, when he retired from the post of

the head of the nobles, the bank was still not established altogether, some nobles did not want to elect him as a marshal. He was a nobleman but still not of such a high rank as Mukhran-Batons and Orbelians, for this reason the noblemen of high rank were ashamed to let Dimitri be their leader. Anton Purtseladze tells us the story that happened at the meeting on which Dimitri Kipiani was elected as a head of the noblemen. At first Grigol Orbeliani was against the candidate of Dimitri Kipiani. He said that it was a shame to elect the nobleman with lower rank to be the leader of the nobles.

When the committee members did not consider this argument Grigol Orbeliani added that Dimitri Kipiani was dismissed from the post as a dishonest person. Society did not like this statement and as a sign of protest they started to shout. Ivan Mukhran-Batoni got angry at how they dared to protest, he rose from the chair and shouted What do you dare? The Revolt? How do you dare to be against us? Do you want a rebel to be leader of noblemen?“ Call the procurator at once!

When society heard the words such as “revolt”, “a rebel”, procurator, they got scared and did not dare to say a word. Just when Dimitri Kipiani was about to lose in the election, the young officer Alexandre Arghutashvili rose and announced: “who calls the noblemen meeting the revolt? Who calls the procurator at our meeting? Who calls us “ rebel ” just because the majorities do not consider minorities opinions? „ Rebels“ are minorities, who do not agree with majorities. Those who do not want to take part in the election can leave the meeting . Mukhran-Batoni did not expect this kind of contradiction, he was stunned and could not say a word. The meeting members were encouraged and these words were heard everywhere:’let Mukhran-Batoni leave the meeting, get him out of here!”

The furious Grigol Orbeliani said that: ‘Georgia died when me and Wvimatidze were corrected.” Dimitri Kipiani was elected as the head of Tbilisi province noblemen. Society was not deceived. He did his duty well and was a prominent Marshal.

Nevertheless in 1870 when the new election was about to be held the conditions changed. At that time, the emperor Alexandre the 2nd was going to visit Georgia. The enemies of Dimitri Kipiani appeared again. They claimed that when the emperor arrived it would be shameful for them to have nobleman of a lower rank as the head of Tbilisi province. These rumors got to Dimitri Kipiani. He retired from the post of Marshal. It is known that many people pleaded with

თ. გავიშა

him to stay as their leader but Dimitri did not change his mind. He explained: everyone is sure that the emperor will give mercy to the nobility and grant them if their hope does not come true, they will blame me and I will be shown guilty to society.

An adjutant General Revaz, son of Ivan Andronikashvili was elected as the head of Tbilisi province by Georgian nobility. In 1871, the emperor visited Georgia and gifted no one, so Georgian aristocracy was disappointed. Neither Revaz Andronikashvili's marshalship nor the feast helped them.

In the hands of the new ruler, the issue of the bank's establishment was still delayed. Then the movement "Tergdaleulebi" decided that this affair had to be entrusted to Ilia Chavchavadze. On November 25th, 1872 Tbilisi province nobility special committee was held. At this meeting Ilia Chavchavadze gave a speech and was applauded by society. Ilia criticized the work of the former committee and as Anton Purtselazde wrote the old committee members secretly went away one by one. It should also be mentioned that under the authority of Ilia Chavchavadze, the primary new regulations for the bank of land were created, but in spite of the fact that this issue was not difficult and Ilia Chavchavadze did it easily, it became more difficult and required a lot of effort to state the project. From December 5th, 1872 to August 28th 1874 this affair required visiting Moscow and Petersburg and walking up and down on the stairs of bureaucracy. Sometimes disappointed Ilia wanted to leave everything and run away. It took a long time to affirm the regulation for the establishment of the bank, but Ilia Chavchavadze did not give up and at least on May 24th, 1874 the bank regulation was finally stated. In September Tbilisi province nobility committee was officially informed about this issue they got to know the system of the bank management and working conditions. They elected the head of the bank and according to the voting rank 138 men were adherent of Ilia and 12 votes were against.

In January and February of 1875, the general establishers meeting was conducted. The bank started to work.